



MES 4 22 0001177045



28/09/2022

სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის ჩატარების თარიღი: 20.09.2022

სხდომის დაწყების დრო: 15:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 16:03 სთ

საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული

საბჭოს მდივანი: ანა საბახტარიშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე სააპელაციო საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ამავე უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;

ანა საბახტარიშვილი - ა(ა)იპ - ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი - საბჭოს მდივანი;

გივი გაგნიძე - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის „ახალი სკოლის მოდელის მხარდაჭერი“ პროგრამის საგანმანათლებლო ლიდერობის ექსპერტი;

კახაბერ ფარცვანია - შპს "თანამედროვე განათლების აკადემიის" ფრანგული ენის მასწავლებელი;

გიორგი ტრაპაიძე - სს "ენერგო-პრო ჯორჯიას" ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი;

სხდომაზე დამსწრე პირები:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში -ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ნიკოლოზ ფარჯანაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
2	ქეთევან ინანაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
3	ანი ბილანიშვილი	

აკრედიტაციის დებულების 28⁵ -ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 28⁵ -ე მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 28⁷-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „კინოწარმოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სააკველაციო საჩივრის მიღების საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „კინოწარმოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სააკველაციო საჩივრის მიღების საკითხის განხილვა.

საკითხის განხილვა

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კინოწარმოება
2	სტატუსი	ახალი
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
5	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
6	კვალიფიკაციის დონე	VII
7	კვალიფიკაციის დასახელება	აუდიოვიზუალური ხელოვნების მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
12	განხორციელების ადგილი	მერაბ კოსტავას ქ. №77ა, 0171 თბილისი, საქართველო

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხეობა

✓ არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა, საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საჩივარსა და თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა, განმარტა, რომ პროცედურულად დაწესებულების მიერ სააპელაციო საჩივრის ცენტრში წარმოდგენის შემდგომ, სააპელაციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას, მიღებულ იქნას თუ არა სააპელაციო საჩივარი განსახილველად, ან განაცხადოს უარი საჩივრის განხილვაზე. საჩივრის მიღების წინაპირობები განსაზღვრულია აკრედიტაციის დებულების 28³ მუხლით. იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი აკმაყოფილებს დადგენილ ფორმალურ მოთხოვნებს, საჩივარი საბჭოს მიერ მიიღება განსახილველად. წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრით (№1004486, 06/09/2022; №1057404, 12/09/2022; №1057419, 12/09/2022) ჩანს, თუ ვის მიმართავს დაწესებულება (იმ საბჭოს დასახელება, რომლის გადაწყვეტილებაც საჩივრდება) და ამავდროულად მითითებულია, თუ რომელი გადაწყვეტილება არის გასაჩივრებული (№868258, 02/08/2022). საჩივარში გათვალისწინებულია/ასახულია აკრედიტაციის დებულების 28³ მუხლის შესაბამისად განსაზღვრული მოთხოვნები. ასევე აღნიშნა, რომ „კინოწარმოების“ სამაგისტრო პროგრამაზე საბჭოს უწევს დასაშვებობის შემოწმება, და თუკი ეს ეტაპი გაიარა სააპელაციო საჩივარმა, მასზე დაყრდნობით სააპელაციო საჩივრის მოთხოვნის მიხედვით, მოხდება შინაარსობრივი ნაწილის არსებითად განხილვა. წარმოდგენილი მასალების მიხედვით, მიმდინარე ეტაპზე, პროგრამაზე განხორცილდა აკრედიტაციის მინიჭებისთვის საჭირო პროცესი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომლებს, წარმოედგინათ დამატებითი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ და საჩივარის მოთხოვნების აკრედიტაციის დებულებასთან შესაბამისობასთან დაკავშირებით.

ცენტრის თანამშრომელმა, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, ანი ბილანიშვილმა ისაუბრა საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციული წარმოების დეტალების შესახებ. მისი თქმით, ცენტრში წარმოდგენილი საჩივარი შეეხება შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „კინოწარმოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს №868258, 02/08/2022 გადაწყვეტილებას. აღნიშნული საჩივარი ცენტრში დარეგისტრირდა 2022 წლის 6 სექტემბერს (№1004486, 06/09/2022). ცენტრის მხრიდან იქნა დაზუსტებული აღნიშნული საჩივრის სასამართლო წარმოების საკითხი, საიდანაც გაირკვა, რომ სასამართლო წარმოება არ მიმდინარეობს, ასევე განაცხადს ჰქონდა გარკვეული ხარვეზი, რომელიც შეეხებოდა საჩივრის განხილვის დასაშვებობის საფასურის გადახდას. დაწესებულებამ ხარვეზი გამოასწორა და სასამართლო წარმოების შესახებ ინფორმაცია წარმოადგინა 2022 წლის 12 სექტემბრის №1057404 და №1057419 წერილებით.

განხილვის მომენტისთვის წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი აკმაყოფილებს აკრედიტაციის დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. კერძოდ, საჩივარს წარმოადგენს უფლებამოსილი პირი, წარმოდგენილია გადაწყვეტილება, რომელიც არის გასაჩივრებული, ასევე დაცულია გასაჩივრების ერთთვიანი პერიოდი, კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში დაწესებულებისთვის გადაწყვეტილების გაცნობისა და მისი გასაჩივრების ვადასთან დაკავშირებით.

შპს საქართველოს უნივერსიტეტის „კინოწარმოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ახალია და პირველად გადის აკრედიტაციის პროცესს. აკრედიტაციის დებულების

შესაბამისად, პროგრამასთან მიმართებით განხორციელდა აკრედიტაციის პროცესი. კერძოდ, შედგა ექსპერტთა ვიზიტი, დაიწერა დასკვნა და საკითხი განხილულ იქნა აკრედიტაციის საბჭოზე.

ზეპირი მოსმენა გაიმართა 2022 წლის 19 ივლისს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები და დაამატა რეკომენდაციები, რამაც შეცვალა სტანდარტის შეფასებები: კერძოდ 2.2 და 2.3 კომპონენტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა, როგორც „არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან“, ხოლო 2.6 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. შესაბამისად მეორე სტანდარტი განისაზღვრა, როგორც „არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან“. ცვლილება ასევე შეეხო 5.1 კომპონენტს, რომელიც ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, აღნიშნულმა ცვლილებამ არ გამოიწვია მეხუთე სტანდარტის შეფასების ცვლილება.

უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 24-ე მუხლის, ასევე, აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის პირველი პუნქტის, 27⁵ -ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, ამავე კანონის 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ კენჭისყრის საფუძველზე თერთმეტი ხმით არცერთი ხმის წინააღმდეგ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება, რომ უარი ეთქვას შპს - საქართველოს უნივერსიტეტს „კინოწარმოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაციის მინიჭების შესახებ.

სააპელაციო საჩივრის თანახმად, დაწესებულება არ ეთანხმება აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებას და მიმართავს სააპელაციო საბჭოს, რათა ხელახლა მიიღოს განხილვაში აღნიშნული საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა, აღნიშნა, რომ აკრედიტაციის დებულების 28¹ და 28² მუხლების სისტემური განმარტების გათვალისწინებით, სააპელაციო საბჭოს შექმნისა და საქმიანობის მიზანს წარმოადგენს დაინტერესებული მხარისთვის შესაძლებლობის მიცემა, თუკი იგი არ ეთანხმება აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელიც შესაძლოა მის კანონიერი ინტერესებსა და უფლებებზე ახდენდეს გავლენას, რომ აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა ჰქონდეს სააპელაციო წესით.

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ქეთევან ინანაშვილმა დამატებით განმარტა საჩივრის განხილვის პროცედურა და აკრედიტაციის დებულების 28³, 28⁴, 28⁵ მუხლებით განსაზღვრული თავისებურებები, რის შემდეგაც, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის „კინოწარმოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5;


წინააღმდეგი - 0.

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28⁵-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების შესაბამისად, განსახილველად იქნას მიღებული შპს საქართველოს უნივერსიტეტის სააპელაციო საჩივარი (№1004486, 06/09/2022; №1057404, 12/09/2022; №1057419, 12/09/2022) „კინოწარმოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.

16:03 საათზე სააპელაციო საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
მდივანი
საბახტარიშვილი ანა

